ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს
საბჭოთა
სოციალისტური
რესპუბლიკის

№ 8

1983

უმაღლესი საბჭოს
უწყებები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

17.5.8

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 8 (475) ივლისი 1983 წელი

შინაარსი

განყოფილება პირველი

270. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ჩოხატაურის რაიონის ბუკისციხის № 306 და ლენინგორის რაიონის წინაგარის № 440 საარჩევნო ოლქებში საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნების შესახებ.

271. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა წითელწყაროს რაიონის სამთაწყაროს სასოფლო საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქების რაოდენობის განსაზღვრის თაობაზე.

272. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მარნეულის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ზოგიერთი დეპუტატის უფლებამოსილების შესახებ.

273. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩოხატაურის რაიონის ბუკისციხის № 306 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

274. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 104-ე მუხლში ცვლილების შეტანის შესახებ.

განყოფილება მეორე

275. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ტყეარჩელის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის გაფართოებისა და რეკონსტრუქციის დროს განსაკუთრებით თავგამოჩენილი პირებისათვის საქართველოს სსრ სპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

276. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რესპუბლიკის მეტალურგიული მრეწველობის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ სახატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

277. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გაზეთ „საბჭოთა ოსეთის“ რედაქციის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ სახატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

278. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ბათუმის ცენტრალური გადამტვირთავი ნავთობბაზის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ სახატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

279. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. კ. ი. ჩიტაიასთვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის“ სახატიო წოდების მინიჭების შესახებ.

280. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის გაფართოებისა და რეკონსტრუქციის დროს განსაკუთრებით თავგამოჩენილ პირთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

281. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რესპუბლიკის მეტალურგიული მრეწველობის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

282. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

283. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. კ. ტ. მიქიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

284. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ვ. ჩაგელიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

285. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გაზეთ „საბჭოთა ოსეთის“ რედაქციის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

286. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გაზეთ „საბჭოთა ოსეთის“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

287. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. დ. ახვლედიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

288. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. კ. ვ. ბუჯიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

289. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ი. მაისურაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

290. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ქ. ა. ნიკოლაიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

291. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ს. ტეხოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

292. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ბათუმის ცენტრალური ნავთობგადასატვირთი ბაზის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

293. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ს. ა. მნაცაკანოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

294. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სტავროპოლის მ. ი. ლერმონტოვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

295. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ ე. ა. ევტუშენკოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

296. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. რ. ი. სააკიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

297. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. თ. სახაცკის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

განკოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

270 ჩოხატაურის რაიონის ბუკისციხის № 306 და ლენინგორის რაიონის წინაგარის № 440 საარჩევნო ოლქებში საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს **პრეზიდიუმი ადგენს:**

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" საქართველოს სსრ კანონის 56-ე მუხლის შესაბამისად დაინიშნოს საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნები ჩოხატაურის რაიონის ბუკისციხის № 306 და ლენინგორის რაიონის წინაგარის № 440 საარჩევნო ოლქებში კვირას, 1983 წლის 14 აგვისტოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 13 ივლისი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

271 წითელწყაროს რაიონის სამთაწყაროს სასოფლო საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს **პრეზიდიუმი ადგენს:**

„საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შესახებ" კანონის მე-13 მუხლის შესაბამისად ნება დაერთოს წითელწყაროს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს შექმნას სამთაწყაროს სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს არჩევნების 20 საარჩევნო ოლქი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს **პრეზიდიუმის** თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს **პრეზიდიუმის** მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 15 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

272 მარნეულის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ზოგიერთი დეპუტატის უფლებამოსილების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

ქალაქ მარნეულის მარნეულის რაიონიდან გამოყოფასა და საქართველოს სს რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქად გარდაქმნასთან დაკავშირებით ქალაქ მარნეულის ტერიტორიაზე განლაგებული საარჩევნო ოლქებიდან მარნეულის სახალხო დეპუტატთა რაიონულ საბჭოში არჩეულ დეპუტატებს შეუნარჩუნდეთ უფლებამოსილება მარნეულის სახალხო დეპუტატთა **საქალაქო საბჭოში.**

საქართველოს **სსრ** უმაღლესი **საბ**ჭ**ოს** პ**რ**ეზ**ი**დ**ი**უ**მ**ის თ**ა**ვ**მ**ჯ**დ**ომ**ა**რ**ე** პ. **გ**ილ**ა**შ**ვ**ილ**ი**.
საქართ**ველ**ოს **სსრ** უ**მ**აღ**ლ**ესი **საბ**ჭ**ოს** პ**რ**ეზ**ი**დ**ი**უ**მ**ის **მ**დ**ივ**ან**ი** **თ**. **ლ**ა**შ**ვ**ა**რ**ა**შ**ვ**ილ**ი**.

თბილისი, 1983 წლის 18 ივლისი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

273 საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩოხატაურის რაიონის ბუკისციხის № 306 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართ**ველ**ოს **სსრ** **უ**მ**აღ**ლ**ესი** **საბ**ჭ**ოს** **პ**რ**ეზ**ი**დ**ი**უ**მ**ი** **ა**დ**გ**ენ**ს:**

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის 22-ე, 23-ე და 25-ე მუხლების საფუძველზე დამტკიცდეს საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩოხატაურის რაიონის ბუკისციხის № 306 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისია საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების შემდეგი **წ**ა**რ**მ**ო**მ**ა**დ**გ**ენ**ლ**ებ**ისა**გ**ან**:**

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **ს**ი**ხ**ა**რ**უ**ლ**ი**ძ**ე** აკაკი გიორგის ძე — განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ჩოხატაურის რაიონული ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **პ**ა**ი**ჭ**ა**ძ**ე** გია გივის ძე — ჩოხატაურის რაიონული კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი — **კ**ო**ბ**ლ**ა**ძ**ა**შ**ვ**ი**ლ**ი** ქეთევან კასუმის ასული — არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელმძღ**ვ**ა**ნ**ელ**ი** ნებაყოფლობითი **ს**აზ**ო**გ**ა**დ**ო**ებ**ი**ს **ჩ**ო**ხ**ატ**ა**ურ**ი**ს **რ**ა**ი**ონ**ი**ს **ო**რ**გ**ან**ი**ზ**ა**ც**ი**ის**ა**გ**ან**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები — **ბარამიძე** თამაზ ივანეს ძე — სოფელ ზემო სურების კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

გიორგაძე ციალა სერგოს ასული — სოფელ ბუკისციხის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

დოლიძე ვლადიმერ თომას ძე — ჩოხატაურის რაიონული კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

ლორია ვაჟა ჭიჭიკოს ძე — სოფელ კოხნარის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

მარი ლენა იოსების ასული — საქართველოს ალკ ჩოხატაურის რაიონული ორგანიზაციისაგან.

რამიშვილი ქეთო სამსონის ასული — წითელი ჯვრის საზოგადოების ჩოხატაურის რაიონული ორგანიზაციისაგან.

სირაძე იზოლდა ვლადიმერის ასული — მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის ჩოხატაურის რაიონული ორგანიზაციისაგან.

სიხარულიძე ნათელა ნიკოლოზის ასული — განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ჩოხატაურის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ტრაპაიძე ვლადიმერ დავითის ძე — სოფელ შუა სურების კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

ქორიძე მზია გივის ასული — საჯამიასერის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეებისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 18 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

274 საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 104-ე მუხლში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს **პრეზიდიუმი ადგენს:**

შეტანილ იქნეს ცვლილება საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 104-ე მუხლის მეოთხე ნაწილში და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ზღვრული ოდენობა საცხოვრებელი სახლისა (ან მისი ნაწილისა), რომელიც შეიძლება იყოს მოქალაქის პირად საკუთრებაში, არ უნდა აღემატებოდეს ოთხმოცდათექვსმეტ კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ფართობს და ორმოც კვადრატულ მეტრ დამხმარე ფართობს“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 18 ივლისი.

განყოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

275 ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის გაფართოებისა და რეკონსტრუქციის დროს განსაკუთრებით თავგამოჩენილი პირებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

მშენებლობაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის 110 ათასი კილოვატი სიმძლავრის ენერგობლოკის წარმატებით საექსპლუატაციოდ გადაცემასთან დაკავშირებით მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“

მიქავას გიორგი სარდიონის ძეს —საქმთავარენერგოს მთავარი ინჟინრის მოადგილეს.

შნაცაკანიანს ავაგ პარუნაკის ძეს — ტრესტ „საქჰიდროენერგომშენის“ სახარჯთაღრიცხვო-სახელშეკრულებო განყოფილების უფროსს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული მშენებელი“

აბდულაევს მაჰმუდ ისას ძეს — სპეციალიზებული სამმართველო „კავკაზენერგომონტაჟიზოლაციის“ თბილისის უბნის უფროსს.

კვიწინიას არკადი ვლადიმერის ძეს — ტრესტ „საქჰიდროენერგომშენის“ მექანიზაციის სამმართველოს ექსკავატორის მემანქანეს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული ენერგეტიკოსი“

ლუჩკოს გიორგი ივანეს ძეს — საქმთავარენერგოს ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის ელექტროლაბორატორიის გამგეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყებუჩავას პლატონ იონას ძეს — საქმთავარენერგოს **ტყვარჩელის** სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის საამქროს მორიგე ზეინკალს.

„საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკი“

ვერშინინს ვიქტორ ლეონიდეს ძეს — საქმთავარენერგოს ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის საამქროს ოსტატს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 8 ივლისი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

276 რესპუბლიკის მეტალურგიული მრეწველობის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

რესპუბლიკის მეტალურგიული მრეწველობის განვითარების დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“

არაბულს ივანე ალექსის ძეს — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მთავარ ინჟინერს.

ახობაძეს თამაზ ვლადიმერის ძეს — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მთავარი ინჟინრის მოადგილეს.

გოგსაძეს ილია აკაკის ძეს — საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის“ გამამდიდრებელ ფაბრიკათა კომპლექსის ქიმიური ლაბორატორიის უფროსს.

გოშაძეს გივი გალაქტიონის ძეს — საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის“ ლენინის სახელობის მაღაროთსამმართველოს ვენტილაციის უფროსს.

კვანტიძეს გურამ გალაქტიონის ძეს — საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის“ დიმიტროვის სახელობის მაღაროთსამმართველოს მთავარ ინჟინერს.

პაპიძეს ნოდარ ვლადიმერის ძეს — საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის“ შრომის მეცნიერული ორგანიზაციის და მართვის განყოფილების უფროსს.

რადჩენკოს ვიქტორ იაკობის ძეს — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ფურცელსაგლინი საამქროს უფროსს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოხაძეს ზაურ თეოფილეს ძეს — რუსთავის შეტალურგიული ქარხნის საგლინი საამქროს უფროსის მოადგილეს.

ჩომახიძეს გრიგოლ ირაკლის ძეს — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის პროდუქციის ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის ლაბორატორიის უფროსს.

ცქიტიშვილს იუზა აკაკის ძეს — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის № 5 საამქროს უფროსს.

წერეთელს პავლე ალექსანდრეს ძეს — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მთავარი ინჟინრის მოადგილეს.

„საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკი“

გაფრინდაშვილს იოსებ ალექსანდრეს ძეს — საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის“ ლენინის სახელობის მაღაროთსამმართველოს ელექტროდეპოს ენერგეტიკოსს.

გურულს ვლადიმერ გიორგის ძეს — საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის“ სტალინის სახელობის მაღაროთსამმართველოს უბნის მექანიკოსს.

ლომიძეს ავთანდილ გიორგის ძეს — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინი საამქროს დგან „400-ის“ უფროს ოსტატს.

მაკაძეს ალექსანდრე თევდორეს ძეს — საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის“ პატარიძის სახელობის მაღაროთსამმართველოს მესამაგრეს.

მეგრელიშვილს აკაკი ივანეს ძეს — საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის“ გამამდიდრებელ ფაბრიკათა კომპლექსის კადრების უფროს ინსპექტორს.

მექვაბიძეს ლევან ალექსანდრეს ძეს — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის № 4 საამქროს მდნობელს.

ფერაძეს დემურ სავლეს ძეს — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის № 5 საამქროს მდნობელს.

სვინტიძეს ნადიეჟდა გიორგის ასულს — მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსს.

ყურაშვილს გურამ ესტატეს ძეს — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის საგლინი საამქროს უფროს ოსტატს.

ჩემიას ბიჭიკო სანდროს ძეს — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ჩამოსხმის უფროს ოსტატს.

ცარციძეს ნოდარ სერგის ძეს — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ფასონურ-ჩამომსხმელი საამქროს უფროსს.

ხათრიძეს რეზო გიორგის ძეს — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის № 2 საამქროს მდნობელს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 15 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

277 გაზეთ „საბჭოთა ოსეთის“ რედაქციის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

მასობრივი ინფორმაციის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და გაზეთ „საბჭოთა ოსეთის“ პირველი ნომრის გამოსვლის 50 წლისთავთან დაკავშირებით მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი“

ხაჩატუროვს გასპარ გიორგის ძეს — გაზეთის პასუხისმგებელ მდივანს.

მაისურაძეს დიმიტრი ანდრიას ძეს — გაზეთის რედაქციის სოფლის მეურნეობის განყოფილების ყოფილ გამგეს.

„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი“

ტურაშვილს ვლადიმერ გიორგის ძეს — სამხრეთ ოსეთის პოლიგრაფიული გაერთიანების ლინოტიპისტს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 18 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

278 ბათუმის ცენტრალური გადამტვირთავი ნავთობგაზის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფისათვის გაწეული ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და ბათუმის ცენტრალური გადამტვირთავი ნავთობბაზის დაარსების 100 წლისთავთან დაკავშირებით მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“

ბერიძეს ასლან ოსმანის ძეს — ნავთობბაზის უფროსს.

„საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკი“

მირიბიანს ავეტიკ ოჰანესის ძეს — მთავარ მექანიკოსს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საქართველოს სსრ დამსახურებული ბუღალტერი“

ზაიცევს ალექსანდრე ალექსანდრეს ძეს — მთავარ ბუღალტერს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 18 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

279 **ამხ. კ. ი. ჩიტაიასათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ**

ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თბილისის ექიმთა დახელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის სამხედრო კათედრის სასწავლო ნაწილის უფროსს ამხ. კორნელი ირაკლის ძე **ჩიტაიას** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი“.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 25 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

280 **ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის გაფართოებისა და რეკონსტრუქციის დროს განსაკუთრებით თავგამოჩენილ პირთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის 110 ათასი კილოვატი სიმძლავრის ენერგობლოკის წარმატებით საექსპლუატაციოდ გადაცემისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:

აგრბა ელენე ივანეს ასული — საქმთავარენერგოს ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის საამქროს ზეინკალი.

ალიევი რამზინ ელმურაზის ძე — საქმთავარენერგოს ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის საამქროს ზეინკალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აშინოვი ჩათიბ უჩუჟუკის ძე — ტრესტ „კავკასიხერგომონტაჟის" ელექ-ტროშემდუღებელი.

ახობაძე იაშა კონსტანტინეს ძე — საქმთავარენერგოს ტყვარჩელის სახელ-მწიფო რაიონული ელექტროსადგურის ცვლის უფროსი.

ბიუტინა ელენე მოსეს ასული — საქმთავარენერგოს ტყვარჩელის სახელ-მწიფო რაიონული ელექტროსადგურის მემანქანე-შემომვლელი.

გაბუნია ბიძინა გიორგის ძე — საქმთავარენერგოს ტყვარჩელის სახე-ლმწიფო რაიონული ელექტროსადგურის დირექტორი.

გადელია ვიაჩესლავ იროდიონის ძე — ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონ-ული ელექტროსადგურის სამშენებლო სამმართველოს სამუშაოთა მწარმოე-ბელი.

გადლია ციალა ათანასეს ასული — საქმთავარენერგოს ტყვარჩელის სა-ხელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის საამქროს უფროსი მემანქანე.

თვალჭრელიძე ომარ კონსტანტინეს ძე — ტრესტ „კავკასენერგომონტა-ჟის" სამონტაჟო სამმართველოს უფროსი.

კვირკველია გიორგი ვიქტორის ძე — ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონუ-ლი ელექტროსადგურის სამშენებლო სამმართველოს უფროსი.

კიტაევი ნიკოლოზ მიხეილის ძე — ტრესტ „კავკასენერგომონტაჟის" სა-მონტაჟო სამმართველოს ბრიგადირი.

მაფბა ევგენია ჩიკოს ასული — ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის სამშენებლო სამმართველოს მებეტონეთა ბრიგადირი.

მედვედევი ვლადიმერ გრიგოლის ძე — პროექტის მთავარი ინჟინრის მოად-გილე.

ხმბატიანი ვაზგენ არარატის ძე — ტრესტ „კავკასენერგომონტაჟის" სა-მონტაჟო სამმართველოს ელექტროზეინკალი.

ტირასპოლსკი ანატოლი ადოლფის ძე — საქმთავარენერგოს კაპიტალური მშენებლობის განყოფილების უფროსის მოადგილე.

შამუგია ჯემალ ვალიკოს ძე — ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის სამშენებლო სამმართველოს მებეტონე.

ჩანტლაძე ლუარა დორონთეს ასული — საქმთავარენერგოს გამართვის, ავტომატიკისა და თბურ გაზომვათა სამსახურის უფროსის მოადგილე.

ხარჩილავა შოთა მამოს ძე — საქმთავარენერგოს ტყვარჩელის სახელმ-წიფო რაიონული ელექტროსადგურის საამქროს შემომქრეკი.

ხაშბა გეროდი მალხაზის ძე — ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის სამშენებლო სამმართველოს ხუთრო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 8 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

281 რესპუბლიკის მეტალურგიული მრეწველობის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის მეტალურგიული მრეწველობის განვითარების დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:

აბეხაძე უჩა სერგოს ძე — საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის“ ორჯონიკიძის სახელობის მაღაროთსამმართველოს გვირაბგამყვანი.

აბუანდაძე შოთა შალვას ძე — საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის“ დიმიტროვის სახელობის მაღართოსამმართველოს უბნის უფროსი.

ბაბუხადია ზაურ შალვას ძე — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მდნობელი.

ბარბაქაძე ავთანდილ კალისტრატეს ძე — საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის“ გენერალური დირექტორის მოადგილე.

ბეგაძე ლერი ალექსანდრეს ძე — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის № 4 საამქროს უფროსი.

ბუაჩიძე გურამ ვლადიმერის ძე — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის რკინიგზის საამქროს თბომავლის მემანქანე.

გურული ველგის ლეონტის ძე — საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის“ კალინინის სახელობის მაღაროთსამმართველოს გვირაბგამყვანი.

ველიჩკო ანატოლი პანტელეის ძე — სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს სრულიად საკავშირო საწარმოო გაერთიანება „სოიუზრუდის“ შრომისა და ხელფასის ორგანიზაციის განყოფილების უფროსი.

კაპანაძე ვლადიმერ სიმონის ძე — საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის“ პატარიძის სახელობის მაღაროთსამმართველოს მთავარი ენერგეტიკოსი.

კაპანაძე ილია შიოს ძე — მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის სამთო მოწყობილობის ზეინკალ-შემკეთებელი.

კარმაზავიშვილი გივი გიორგის ძე — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის სარემონტო-მექანიკური საამქროს ხარატი.

კულიევი შოთა ვალის ძე — მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის წისქვილის მემანქანე.

კუპატაძე ალექსანდრე ვლადიმერის ძე — საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის“ პატარიძის სახელობის მაღაროთსამმართველოს პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე.

კუსიანი გურამ გრიგოლის ძე — საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის“ სტალინის სახელობის მაღაროთსამმართველოს ცვლის უფროსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯაფარიძე დიმიტრი ალექსანდრეს ძე — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მთავარი მექანიკოსი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილასვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 15 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

282 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში მაღალი მაჩვენებლების, პირადი შემადგენლობის აღზრდაში მიღწეული წარმატებებისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ კრასნოდარის წითელდროშოვანი, კუტუზოვისა და წითელი ვარსკვლავის ორდენოსანი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახელობის დივიზიის სამხედრო მოსამსახურენი:

ბარტაშჩუკი ჰენრიხ ვლადიმერის ძე
ევდოკიმოვი ალექსანდრე ვასილის ძე
კოროლიოვი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე
ობუხოვი ანატოლი ივანეს ძე
ფროლოვი ბორის ანდრიას ძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილასვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 15 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

283 ამხ. კ. გ. მიქიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პროფტექნიკური განათლების ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის ამხ. კონსტანტინე ტრიფონის ძე **მიქიაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილასვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 15 ივლისი.

№ 8
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

284 ამხ. ბ. ვ. ჩაგელიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის ამხ. გურგენ ვლადიმერის ძე **ჩაგელიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 15 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

285 გაზეთ „საბჭოთა ოსეთის“ რედაქციის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მასობრივი ინფორმაციის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და გაზეთ „საბჭოთა ოსეთის“ პირველი ნომრის გამოსვლის 50 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:

ბაგაევი ივანე გრიგოლის ძე — გაზეთის რედაქციის პროპაგანდის განყოფილების გამგე.

ესიაშვილი ოთარ ვასილის ძე — გაზეთის რედაქტორის მოადგილე.

ზანგალაძე მარიამ ნიკოლოზის ასული — გაზეთის რედაქციის მბეჭდავი მემანქანე.

კულუმბეგოვა მარიამ ანტონის ასული — გაზეთის რედაქციის უფროსი მბეჭდავი მემანქანე.

საბანაძე ვასილ ალექსანდრეს ძე — გაზეთის რედაქციის მრეწველობის განყოფილების გამგე.

ტოლიაშვილი იულონ გიორგის ძე — გაზეთის რედაქციის პარტიული ცხოვრების განყოფილების გამგე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 18 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

286 გაზეთ „საბჭოთა ოსეთის“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში, სახელმწიფო დავალებათა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესასრულებლად ავტონომიური ოლქის შრომითი კოლექტივების დარაზმვაში აქტიური მონაწილეობისათვის და პირველი ნომრის გამოსვლის 50 წელთან დაკავშირებით **გაზეთი „საბჭოთა ოსეთი“** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 18 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

287 ამხ. გ. დ. ახვლედიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სახალხო კონტროლის ორგანოებსა და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა უბანზე აქტიური, ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის მრეწველობის განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. გურამ დავითის ძე **ახვლედიანი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 18 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

288 ამხ. კ. ვ. გუჯიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა, ადმინისტრაციულ ორგანოებსა და პრესის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების 50 წელთან დაკავშირებით **საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის საბჭოთა ორგა-**

№ 8 ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოების განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. კლიმენტი ვასილის ძე ბუჯიაშვილი დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის** საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 18 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

289 ამხ. ვ. ი. მაისურაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის სამართალდამცველ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დამბადების სამოც წელთან დაკავშირებით **საქართველოს** სსრ მთავარი სახელმწიფო არბიტრი ამხ. ვლადიმერ ივანეს ძე **მაისურაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის** საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 18 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

290 ამხ. ჟ. ა. ნიკოლაიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

თავდაცვით-მასობრივი და სამხედრო-პატრიოტული მუშაობის ორგანიზაციაში ხანგრძლივი ნაყოფიერი საქმიანობისათვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საპოგადოების კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ჟუჟუნა ანტონის ასული **ნიკოლაიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის** საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 18 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

291 ამხ. ვ. ს. ტეხოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებსა და სახალხო კონტროლის ორგანოებში ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველო ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ვიქტორ სიკოს ძე **ტეხოვი** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 18 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

292 ბათუმის ცენტრალური ნავთობგადასატვირთი ბაზის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფად წარმატებით მუშაობისათვის და ბათუმის ცენტრალური ნავთობგადასატვირთი ბაზის დაარსების 100 წლისთავთან დაკავშირებით **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოდნენ:

ავალიანი მერი ვლადიმერის ასული — ლაბორანტი.

გორგილაძე ჯემალ ისმაილის ძე — მთავარი ინჟინერი.

თათევოსიანი აგვან აშოტის ძე — ელექტროენერგეტიკული მეურნეობის ოსტატი.

მაჭავარიანი ზურაბ ალექსანდრეს ძე — უფროსის მოადგილე.

რიბასოვი ედუარდ დანიელის ძე — სასაქონლო განყოფილების დისპეტჩერი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 25 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

293 ამხ. ს. ა. მნაცაკანოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საქმიანობაში მაღალი შრომითი მაჩვენებლებისა და სამხედრო ვაჭრობაში ხანგრძლივი კეთილსინდისიერი მუშაობისათვის სამხედრო ვაჭრობის საზოგადოებრივი კვების გაერთიანების უფროსი ამხ. სურენ აბგარის ძე **მნაცაკანოვი** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშჭარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 25 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

294 სტავროპოლის მ. ი. ლერმონტოვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში, მშრომელთა ინტერნაციონალურ აღზრდაში დამსახურებისათვის და ქ. თბილისში გასტროლების წარმატებით ჩატარებასთან დაკავშირებით **სტავროპოლის მ. ი. ლერმონტოვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშჭარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 27 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

295 ამხ. ე. ა. ევტუშენკოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში, მშრომელთა ინტერნაციონალურ აღზრდაში, რუსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის განმტკიცებაში დიდი წვლილისათვის, ხანგრძლივი ნაყოფიერი საზოგადოებრივი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოღვაწეობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით ბრ. რალი ევგენი ალექსანდრეს ძე **ევტუშენკო** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის** სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილასუვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 28 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

296 ამხ. რ. ი. სააკიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელით დაჯილდოების შესახებ

კომკავშირულ და პარტიულ ორგანოებში ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ოქტომბრის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ამხ. რანუშ იოსების ასული **სააკიანი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის** სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილასუვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

ქ. თბილისი, 1983 წლის 28 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

297 ამხ. ა. თ. სახაცკის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის მრეწველობაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით თბილისის მექანიკური ქარხნის ზენკალ-მეინსტრუმენტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ამხ. ანატოლი თევდორეს ძე **სახაცკი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის** სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილასუვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

ქ. თბილისი, 1983 წლის 28 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მორიგი სხდომა გაიმართა 1983 წლის 28 ივლისს. სხდომამ მოისმინა საკითხი „პარტიის იდეოლოგიური, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის აქტუალური საკითხები“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის დადგენილების და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის დადგენილების შესასრულებლად ღონისძიებათა შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა:

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის დადგენილება „პარტიის იდეოლოგიური მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის აქტუალური საკითხები“, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის სიტყვაში მოცემული დებულებები და დასკვნები“ მიღებულ იქნეს სახელმძღვანელოდ და განუხრელად შესასრულებლად.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომმა, რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასკომებმა ერთი თვის ვადაში შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებანი სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის გადაწყვეტილებათა, პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის სიტყვაში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. კ. უ. ჩერნენკოს მოხსენებასა და აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის მოხსენებაში მოცემული საპროგრამო დებულებებისა და დასკვნების სარეალიზაციოდ; პარტიისა და სსრ კავშირის კონსტიტუციის მოთხოვნათა და გადასაწყვეტ ეკონომიკურ და სოციალურ-კულტურულ ამოცანათა მასშტაბის შესაბამისად თანამიმდევრულად და დაჟინებით მიაწიონ საბჭოების აღმზრდელობითი საქმიანობის სრულყოფას.

მოწონებულ იქნეს „პარტიის იდეოლოგიური, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის აქტუალური საკითხები“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის პლენუმის დადგენილების და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის დადგენილების შესასრულებლად ღონისძიებათა წარმოდგენილი გეგმა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიებმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის განყოფილებებმა მკაცრი კონტრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი დაწესონ დასახულ ღონისძიებათა განხორციელების მიმდინარეობისადმი, საბჭოების აღმზრდელობითი საქმიანობის შემდგომი სრულყოფის საკითხებზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმზე დაყენებულ მოთხოვნათა განუხრელი შესრულებისადმი.

* *
*

სხდომაზე გაეცნობილ იქნა საკითხი „შრომითი კოლექტივებისა და საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მართვაში მათი როლის ამაღლების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის განხორციელებისა და შესრულების ორგანიზაციის ღონისძიებათა შესახებ.

აღინიშნა, რომ საწარმოო, საზოგადოებრივ და სახელმწიფო ცხოვრებაში, შეგნებული დისციპლინისა და მართვის სრულყოფაში მუშა-მოსამსახურეთა მონაწილეობის გაფართოებისათვის შრომითი კოლექტივების შესახებ სსრ კავშირის კანონს პრინციპული მნიშვნელობა აქვს. რესპუბლიკის სამინისტროებმა, სახელმწიფო კომიტეტებმა, უწყებებმა, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა სკკპ XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრისა და 1983 წლის ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესაბამისად უნდა უზრუნველყონ ფართო განმარტებითი მუშაობა „შრომითი კოლექტივებისა და საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მართვაში მათი როლის ამაღლების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის შინაარსის თითოეული მშრომელისათვის განსამარტავად; მიიღონ საფუძვლიანი ზომები მის განუხრელად დასაცავად; განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ სოციალისტური დემოკრატიის შემდგომ განსავითარებლად, შრომელთა პოლიტიკური აქტივობის ასამაღლებლად, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მუშაობის სრულყოფისათვის კანონის დებულებათა შესრულებას.

* *
*

მოისმინა რა წერილებისა და მოქალაქეთა მიღების განყოფილების ინფორმაცია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში 1983 წლის პირველ ნახევარში შემოსული მშრომელთა წერილების, განცხადებების, საჩივრების განხილვისა და მოქალაქეთა მიღების მდგომარეობის შესახებ, პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ზოგიერთი საქალაქო და რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, აგრეთვე სამინისტრო, სახელმწიფო კომიტეტი და უწყება ჯერ კიდევ ვერ ახორციელებს საჭირო ღონისძიებებს „სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში ბოლო დროს შემოსული მშრომელთა წერილების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის 9 დეკემბრის დადგენილების შესასრულებლად, ღრმად არ სწვდება მოქალაქეთა წერილობით და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზეპირ მიმართვებში დაყენებულ საკითხებს, ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს იმ წინადადებებისა და განცხადებების დროულ და სწორად გაიაზრებას, რომლებიც მშრომელთა საჩივრებებსა და თხოვნას ეხება, ქმედით ზომებს არ იღებს განცხადება-საჩივრების გამომწვევი მიზეზების გამოვლინება-აღმოფხვრისათვის და სათანადო კონტროლს არ ახორციელებს მოქალაქეთა წერილებთან დაკავშირებით მიღებულ დადგენილებათა შესრულებისადმი.

რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს. საქართველოს სსრ სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებს უწყებებს დაევალათ დასახონ და განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი, რომლებიც სკკ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებ-ს მოთხოვნათა შესაბამისად უზრუნველყოფენ მშრომელთა წერილებზე მუშაობის დონის შემდგომ ამაღლებას; აგრეთვე მიიღონ საჭირო ზომები მშრომელთა წერილების, განცხადება-საჩივრების განხილვისა და მოქალაქეთა მიღების ორგანიზაციაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, აღკვეთონ ამ საქმისადმი ფორმალურ-ბიუროკრატიული დამოკიდებულების ფაქტები.

* *
*

სხდომაზე განხილულ იქნა საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს ინფორმაცია სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებში ბიუჯეტების განხილვა-დამტკიცებისას დაშვებულ დარღვევათა შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა:

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს ინფორმაცია „სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მიერ 1983 წლის ბიუჯეტების განხილვა-დამტკიცებისას დაშვებულ დარღვევათა შესახებ“ დაეგზავნოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს, სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებმა, სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღმასკომმა, რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა დასახონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებები შესაბამისი ადგილობრივი ბიუჯეტების განხილვა-დამტკიცების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

დაევალოთ სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს შემდგომში ადგილობრივი ბიუჯეტების შედგენის, განხილვისა და დამტკიცებისას განუხრელად იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოების შესახებ საქართველოს სსრ კანონებით და საქართველოს სსრ კანონით ადგილობრივი საბჭოების საბიუჯეტო უფლებების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* *
*

პრეზიდიუმის სხდომამ განიხილა აგრეთვე ინფორმაციები სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეთა რესპუბლიკური კრებისათვის მზადებასთან დაკავშირებით და დაავალა სახალხო დეპუტატთა აბაშისა და გარდაბნის საქალაქო, მახარაძის რაიონის ლაითურის სადამო და საგარეჯოს რაიონის ხაშმის სასოფლო საბჭოების აღმასკომებს რესპუბლიკური კრებისათვის ანგარიშების პერიოდში სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის და საქართველოს კომპარტიის XIV პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მათს ტერიტორიაზე მდებარე საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ 1983 წლის სამეურნეო და სოციალურ-კულტურული განვითარების გეგმებისა და აღებული სოციალისტური ვალდებულებების შესრულებას, შრომით კოლექტივებში სახელმწიფო, შრომისა და საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებას, სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას, საბჭოებში ორგანიზაციულ-მასობრივი და აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომ სრულყოფას, საბჭოთა სახელმწიფო აპარატის საქმიანობის დონის ჩაკვეთრ ამაღლებას.

* *
*

სხდომამ მოისმინა აგრეთვე საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1984 წლის სახელმწიფო გეგმის, საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1983 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის, საქართველოს სსრ 1984 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და საქართველოს სსრ 1982 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მუდმივ კომისიებში წინასწარი განხილვის შედეგები; გაიმართა სჯა-ბაასი „ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული, სამეურნეო და სხვა მუშაკების სამუშაო დროის გამოყენების ეფექტიანობის შემდგომ ასამაღლებლად ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1983 წლის 5 ივლისის დადგენილების შესასრულებლად ღონისძიებათა თაობაზე; განხილულ იქნა საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების მიერ სესიებსა და უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიების სხდომებზე გამოთქმული წინადადებებისა და კრიტიკული შენიშვნების რეალიზაციისადმი კონტროლის გაძლიერების ღონისძიებანი; მოსმენილ იქნა საკითხი სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების საბჭოთა მუშაობის კაბინეტებისა და დეპუტატთა ოთახების რესპუბლიკური დათვალიერების შედეგების შესახებ და სხვ.

ყველა განხილულ საკითხზე მიღებულ იქნა სათანადო დადგენილება.